ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

41 (9931) • 31 oqtomberi • 2011 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

არასრული მოსავლის მიუხედავად, ფერმერი მოგებას მაინც ელოდება

მარი კოძოევი

გასული კვირის ორშაბათს საკრებულოს თავმჯდომარე, ალეკო მამეშვილი და გამგებლის მოადგილე სოფლის მეურნეობის დარგში, ლაშა ღლონტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში, იმ საყანე ფართობებს ესტუმრნენ, სადაც ამერიკული ჰიბრიდული სიმინდი გაზაფხულზე მაღალი მოსავლიანობის იმედით დათესეს.

ფერმერ დავით სურგულაძეს ხელისუფლება იმ დროს ესტუმრა, როცა სურგულაძე ყვითელი სიმინდის მოსავალს იღებდა.

როგორც ფართობის მეპატრონე, დავით სურგულაძე ამბობს 120 დღიანი ყვითელი სიმინდი სულ რვა ჰექტარზე დათესა, მაგრამ სადრენაჟე არხების გაუმართობის გამო, სიმინდის კარგი განვითარება ვერ მოხერხდა და საბოლოოდ მოსავალი მხოლოდ სამ ჰექტარზე აიღო.

–„უამინდობამ შეგვიშალა თესვის დროს ხელი. წვიმები იყო და წყალმა თესლი დაალპო. ეს იყო მიზეზი, რომ მთელ ფართობზე არ მოვიდა მოსავალი, თორემ რაც ამოვიდა, იმისთვის არც მუშაობა დაგვიკლია და არც სასუქები. მომავალში ისევ დავთესავ ამერიკულ სიმინდს და აუცილებლად გავითვალისწინებ წლევანდელ ხარვეზებს. ვეცდები რომ მაქსიმალური გამოვიტანო ამ ფართობიდან“ - გვითხრა სურგულაძემ.

–„ყველა საქმეს ახლავს ჩავარდნები. ჩავარდნაში ვგულისხმობ იმას, რომ ყველამ ვერ მოახერხა ყანების საბოლოო კონდიციამდე მიყვანა. ეს ის საკითხია, რომელზეც აქტიურად მუშაობს გამგეობა და გამგებლის მოადგილე. მოხდება ყველა ასეთი ოჯახის აღრიცხვა და გატარდება შესაბამისი ღონისძიებები“

-გვითხრა ალეკო მამეშვილმა.

დავით სურგულაძის წლევანდელი მოსავალი 30 ტონას შეადგენს. ის მოწეული სიმინდის წაღებას გასაშრობად და შესანახად აბაშაში აპირებს, რაც თავისთავად დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული.

მოუტანს თუ არა ფერმერს მოგებას ამერიკული ჰიბრიდული სიმინდი, როცა მისი საბაზრო ღირებულება გაცილებით ნაკლებია, ვიდრე თეთრი ადგილობრივი ჯიშის სიმინდისა, რასაც თან ერთვის თესლის და მისი მოყვანის თვითღირებულება, ეს მოსავლის რეალიზების შემდეგ გახდება ცნობილი.

2011 წლის განვლილ პერიოდში მსოფლიოში 55 ჟურნალისტი მოკლეს

media.ge 2011 წლის განვლილ პერიოდში მსოფლიოში მოკლეს 55 ჟურნალისტი და 3 მედიაასისტენტი. დაპატიმრებულია 164 ჟურნალისტი, 123 ინტერნეტ-აქტივისტი და 3 მედიაასისტენტი. ამ მონაცემებს საერთაშორისო ორგანიზაცია "რეპორტიორები საზღვრების გარეშე" (**RSF**) აქვეყნებს.

ჟურნალისტთა მკვლელობის მხრივ პირველ ადგილას დგას პაკისტანი, სადაც 2011 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე 8 ჟურნალისტი მოკლეს. ერაყში პროფესიული მოვალეობის შესრულებას 7 ჟურნალისტი ემსხვერპლა, იემენში- 6, ხოლო ლიბიასა და მექსიკაში კი 5-5.

ბოლო შემთხვევა იემენში, 16 ოქტომბერს მოხდა. ტელეკომპანია **Al-Yemen** ტვ-ს წარმომადგენელს აბდ ალ-განი ალ ბურეიჰი პრეზიდენტ ალი აბდულა სალეჰის მომხრეებმა მასობრივი საპროტესტო აქციის გაშუქებისას ცეცხლი გაუხსნეს.

34 ჟურნალისტი დააკავეს ერითრეაში, 30- ჩინეთში, 24 - ირანში, 16 - ბირმაში, 11 - უზბეკეთში. ერითრეა პირველ ადგილას დგას მედიაასისტენტთა დაკავების მაჩვენებლითაც. ბოლო 10 თვის განმავლობაში ქვეყანაში 4 მედიაასისტენტი მოხვდა საპყრობილეში.

2011 წლის მონაცემებით, ჩინეთში 70 ინტერნეტაქტივისტი და ბლოგერი დააკავეს, ირანში- 20, ვიეტნამში-17.

"რეპორტიორები საზღვრების გარეშე"-ს ანგარიშის მიხედვით, 2010 წელს მსოფლიოს მასშტაბით 57 ჟურნალისტი მოკლეს, 535 ჟურნალისტი და 152 ბლოგერი დააპატიმრეს. 2010 წელს ჟურნალისტთა სიკვდილის მხრივ პაკისტანი ლიდერობდა (11 დაღუპული რეპორტიორი)

"რეპორტიორებმა საზღვრებს გარეშე" ჟურნალისტებზე განხორციელებული ზეწოლის გამო განსაკუთრებულ აქცენტს მექსიკაზე აკეთებს. ორგანიზაცია ტურისტებს მოუწოდებს კარგად დაფიქრდნენ, სანამ შვებულების გატარებას მექსიკაში დაგეგმავენ.

მექსიკაში ნარკოტრაფიკში ჩართული დაჯგუფებები ჟურნალისტებზე ძალადობენ. ამას დიდი ზეგავლენა აქვს ჟურნალისტიკის ხარისხზეც, რადგან რეპორტიორები ცდილობენ ნაკლებად გააშუქონ კრიმინალი და ნაკლებად მოექცნენ რისკის ქვეშ. 2000 წლიდან მოყოლებული, მექსიკაში პროფესიული მოვალეობის შესრულებისას 80 ჟურნალისტი მოკლეს.

"რეპორტიორები საზღვრების გარეშე" იმ ქვეყნების ლიდერთა წინააღმდეგ, სადაც ჟურნალისტთა უფლებები დაცული არ არის, სპეციალურ ბანერსაც უძღვნის

"კადაფი, აჰმადინეჯადი, პუტინი, აფევორკი, კასტრო -ალბათ არაფერი გსმენია ამ დიქტატორების შესახებ?" - ეს ბანერი ორგანიზაციის ვებგვერდზეა განთავსებული.

საპარლამენტო უმრავლესობამ უარი თქვა დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნაზე, რომელსაც ოპოზიცია ითხოვდა

media.ge საქართველოს პარლამენტმა უარი თქვა 2007 წლის 7 ნოემბრისა და 2011 წლის 26 მაისის მოვლენების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნაზე, რომელსაც ოპოზიციური საპარლამენტო ფრაქცია, "ერთობა სამართლიანობისთვის" ითხოვდა.

28 ოქტომბერს მოწვეულ პლენარულ სხდომაზე, კენჭისყრის დროს, საგამოძიებო კომისიის შექმნის წინააღმდეგ 72 პარლამენტარი წავიდა, მხარი 14-მა დაუჭირა. კომისიის შექმნას მიემხრნენ გურამ ჩახვაძე, დეპუტატი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან, ასევე ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატები", რომლის ლიდერები ტელეკომპანია "იმედის" ყოფილი ჟურნალისტები არიან.

2007 წლის 7 ნოემბერს დაარბიეს ოპოზიციის საპროტესტო აქცია, ამის შემდეგ სამართალდამცველები შეიჭრნენ ტელეკომპანია "იმედში", რომელიც ასევე დაარბიეს და დახურეს. ხელისუფლების რწმუნებით, "ტელეიმედი" მოსახლეობას ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდებდა. 2011 წლის 26 მაისს კი ოპოზიციის მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციის დარბევის დროს ჟურნალისტებიც დაზარალდნენ.

კენჭისყრამდე ოპოზიციის ინიციატივა გააკრიტიკეს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა.

"ხელისუფლებამ ამ მოვლენებზე დაუყოვნებლივ მოახდინა რეაგირება. კონკრეტული დამნაშავეები დაისაჯნენ, ხოლო 7 ნოემბერს პრეზიდენტმა ყველაზე სწორი ნაბიჯი გადადგა და დანიშნა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები, ამიტომაც, ყველა სხვა მსგავსი იდეის წამოყენების შემთხვევაში ჩვენ იგივე პასუხი გვექნება", განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა, საპარლამენტო უმრავლესობიდან.

კენჭისყრის შემდეგ, ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილმა მედია.გე-ს განუცხადა, რომ ეს საკითხი კვლავ დადგება დღის წესრიგში, ოღონდ "არა ამ მოწვევის პარლამენტში."

პედაგოგებს სერთიფიკატები გადაეცათ

იმ ოზურგეთელ პედაგოგებს რომლებმაც სასერთიფიკაციო გამოცდები ჩააბარეს სერტიფიკატები გასულ კვირას განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, ირინა ინარიძემ და საკრებულოს თავმჯდომარე, ალეკო მამეშვილმა გადასცეს.

სერთიფიკატი სულ 57 პედაგოგს გადაეცა. მათ შორის საუკეთესოთა 25%-ში მოხვედრილებს, რომლებიც ათას ლარიან ხელფასს ელოდებიან და რამდენიმე სკოლის დირექტორს.

სერთიფიცირებული პედაგოგები ამბობენ, რომ შრომის დაფასება სტიმულია მათი შემდგომი მუშაობისთვის.

არის თუ არა საჭირო შვედეთის მაგალითის გაზიარება?

ნინო ნიკოლაიშვილი

რა უშლის ქალს ხელს, მოვიდეს პოლიტიკაში? არის თუ არა საჭირო ქალთა პოლიტიკაში ყოფნა და რა დადებით შედეგს მოიტანს ის, რა მდგომარეობაა ამჟამად საქართველოში გენდერული თვალსაზრისით, როგორ უნდა გავიზიაროთ ორბეროს მაგალითი, ამ საკითხებზე სასაუბროდ ქ. ბათუმში კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმის“ ქალთა კლუბის წევრები შეიკრიბნენ ოზურგეთის, ქობულეთის და ბათუმის ორგანიზაციებიდან. სემინარს შვედი მეცნიერი, მეცნიერებათა დოქტორი გენდერული საკითხების მკვლევარი ორბეროს უნივერსიტეტიდან ქ-ნი გუნ ჰედლუნდი უძღვებოდა.

სემინარზე განიხილეს შვედეთის მაგალითი. ეს ქვეყანა გენდერული თვალსაზრისით მსოფლიოში მეორე ადგილზეა. პოლიტიკაში ქალები 42%-ით არიან წარმოდგენილნი.

მეცნიერმა ისაუბრა შვედეთში ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისიდან ქალთა ხელისუფლებაში ყოფნის მაგალითებზე. რა წინააღმდეგობები ახლდა ამ ნაბიჯებს ხელისუფლებისა თუ საზოგადოების მხრიდან. კერძოდ იმ პერიოდში არსებული კანონის მიხედვით, საჯარო სამსახურში მომუშავე ქალებს არ ჰქონდათ დაოჯახების უფლება; არ შეიძლებოდა ქალის არჩევა აღმასრულებელ ორგანოებში, თუ ის მდიდარი არ იყო და სხვ. რის გამოც ქალებმა თანდათან დაიწყეს ბრძოლა საკუთარი უფლებების დასაცავად და ეტაპობრივად კიდეც მიაღწიეს წარმატებებს, რამაც დადებითი ასახვა ჰპოვა ქვეყნის საერთო ეკონომიკაზე.

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი

ოზურგეთში ჭავჭავაძის ქუჩაზე (ყოფილი წიგნის მაღაზია) გაიხსნა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი, რომელსაც უხელმძღვანელებს გიგი მახარაძე, მისი მოადგილე თამარ კუპრაძე იქნება. ისინი დაინტერესებულ პირებს სთავაზობენ საინტერესო სერვისებს: კომპიუტერულ, ინტერნეტმომსახურებას. მალე შეიძენენ საზოგადოებისათვის საინტერესო ლიტერატურას. აქვე შესაძლებელი იქნება როგორც დიდი, ასევე მცირე დარბაზის გამოყენება, და სხვა. ცენტრის ხელმძღვანელები შეხვდნენ მედიისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ისაუბრეს საზოგადოებრივ პრობლემებზე. მათი თქმით, აღნიშნული ცენტრი ხელს შეუწყობს დემოკრატიული აზროვნებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას.

თურქეთში მსხვერპლის რაოდენობა 582-მდე გაიზარდა

თურქეთის ვანის პროვინციაში ერთი კვირის წინ მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობა იზრდება .

როგორც ადგილობრივი მედია კრიზისული ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით იუწყება, დაღუპულთა რაოდენობა 582 ადამიანს შეადგენს, დაშავებულთა რიცხვი კი 4152-მდე გაიზარდა.

ყველაზე მეტი - 455 ადამიანი ქალაქ ერჯიშში დაიღუპა. მიწისძვრა თურქეთში 23 ოქტომბერს მოხდა, რომლის სიმძლავრემ 7,2 მაგნიტუდა შეადგინა.

შემოდგომა მთის სოფელში

ნუგზარ ასათიანი





ხეჭეჭური

მთისპირი მთის სოფელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. ამ სოფელს რამდენიმე კოლორიტული უბანი გააჩნია, ცალკე სოფლობასაც რომ გასწევდა: ვანისქედი, ოქროსქედი, უკანავა, რისოული, დელემური, თოფურიათი და ა.შ.

დაბლა ვანისქედის ერთ-ერთ კოლორიტულ უბანს, რომელსაც სოფლის ცენტრს ხუთი კილომეტრი აშორებს, ნიკოლაიშვილების უბანს ეძახდნენ, ახლა უფრო „დიხაშხოთ“ მოიხსენიებენ. ეს უბანი მთისპირის ბოლოს, ჩოხატაურის სოფლების ჭაჭიეთსა და ბასილეთს შორის სოლივითაა შეჭრილი და ბარაქიანი „დიხაშხო“ მიწით ხასიათდება, მაგრამ ცუდი გზა არის ამ უბნის სატკივარი. წვიმიან ამინდში ე. წ. „ყელის“ გადასვლა სატვირთო ავტომობილებსაც უჭირს. ამიტომ შემოდგომა-ზამთრის ცუდი ამინდების დროს აქ ტრაქტორი და ცხენი თუ გაივლის.

„ნიკოლაიშვილების უბანში“ ახლა ერთადერი ოჯახია შემორჩენილი ამ გვარიდან. დანარჩენი 15 ეზო-კარმიდამო ზემოაჭარიდან ჩამოსული ეკომიგრანტებითაა დასახლებული.

–ომამდე ამ უბანში მხოლოდ ნიკოლაიშვილები სახლობდნენ,–გვიყვება ბატონი მიშას მეუღლე, ქალბატონი ციალა. უგზოობამ და არასათანადო პირობებმა სად არ გადაისროლა ისინი. ზოგი თბილისში ცხოვრობს, ზოგი ბათუმში, ფოთში, ალმა-ათაშიც კი. ჩვენ შემოვრჩით 85 წლის მოხუცები. შვილები ამოდიან და გვეხმარებიან..

მიშა ნიკოლაიშვილი იმ დღეს მოსავალს აბინავებდა. „ნადი“ ჰყავდა ყანაში, ოღონდ ტრადიციული არა, დაქირავებული უბნელები.

–სხვა დრო დადგა. ტრადიციული ოჯახები სოფლის სხვა უბნებში ახლაც ძველებურად უმართავენ ხელს ერთმანეთს. ჩვენ აქ ახლობელი არვინ შემოგვრჩა. შემდეგ მოსულებიც კარგი მეზობლები არიან, მაგრამ რა ჰქნან, თავი ხომ უნდა გაიტანონ, „ნადიც“ მათი შემოსავლის წყაროა.

საუკუნეების მანძილზე აქაურ ბუნებას შეგუებული თეთრი სიმინდი ეთესათ და მოსავალსაც არ უჩივიან. ყურძნის მოსავალი ძველებურად აღარ არის, მაგრამ ჭურში მაინც ჩაასხეს „სასტუმრო“ ღვინო „ადესა.“

–სტუმარს ძველებურად ვეძახით „მობრძანდი.“ სანამ ვართ, არ გვინდა გავაციოთ აქაურობა. აქ მოსვლა ავდარში არაა მთლად ადვილი, მაგრამ აგია ჩვენი ადგილის დედა, აქედან იწყება ჩვენთვის სამშობლო–გვეუბნება ქალბატონი ციალა.

ბატონი მიშა ყანიდან საღამოს დაბრუნდა.

ჩვენს შეკითხვაზე, რომელი დრო იყო ყველაზე კარგი და ყველაზე ცუდი მის ცხოვრებაში, ასეთი პასუხი გაგვცა:

–კარგი დრო ყოველთვის არის, როცა ბედელი ცარიელი არ გაქვს და სტუმრის დაძახების არ გეშინია. II მსოფლიო ომის პერიოდიც მახსოვს, მაგრამ ყველაზე ცუდი მაინც 1937 წელი იყო. ჩვენი უბნის გარძელებაზე სეფერთელაძეები ცხოვრობდნენ. ერთ ღამეს 4 ბიძაშვილი გააქრეს. ასეთი დროის დაბრუნებას არ ვისურვებ...

ბნელდება. უბნის მორიგე „მენახირე“ ძროხებს მიერეკება სახლებისაკენ...

ოზურგეთის სამხატვრო სკოლა ლიდიცეს გამოფენისთვის ემზადება

ნუგზარ ოთარიშვილი

იუნესკოს ეგიდით, 2012 წლის მარტში ჩეხეთში, ქ. ლიდიცეში სახვითი ხელოვნების მე-40 საერთაშორისო გამოფენა გაიმართება–**LIDICE** 2012. როგორც ოზურგეთის სამხატვრო სკოლის დირექტორმა კახა ვასაძემ გვითხრა, ამ გამოფენაში ოზურგეთის სამხატვრო სკოლის მოსწავლეებიც მიიღებენ მონაწილეობას. ამ ეტაპზე სკოლის 30-მდე მოსწავლეა შერჩეული, რომელთაგან სპეციალური ჟიურის მიერ შერჩეული საუკეთესოები მიიღებენ ამ გამოფენაში მონაწილეობას. გამოფენა ცნობილი ჩეხი მხატვრის ირჟი ტრნკის (ფერმწერი, გრაფიკოსი, მოქანდაკე და ა.შ) დაბადებიდან 100 წლისთავს ეძღვნება. ეს ნორჩი მხატვრების ერთგვარი მსოფლიო ჩემპიონატია.

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ **EED** პროგრამის ფარგლებში ახორციელებს გურიის მოსწავლეთა რეგიონული პარლამენტის პროექტს „ჩვენი უფლებები,“ რომელშიც ოზურგეთის სამხატვრო სკოლის მოსწავლეებიც იყვნენ ჩართულნი. ამ პროექტის ფარგლებში მათ უნდა შეესრულებინათ ნახატები. მათგან საუკეთესო სალომე კვირიკაშვილის, ნინო გორდელაძის და გიორგი ცხომელიძის ნამუშევრები გამოიცა ღია ბარათების სახით.

ვაკიჯვრის საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლე მიხეილ თავბერიძე გარდა იმისა რომ კარგად ხატავს(მასწავლებელი თამაზ დარჩია) საუკეთესო მაკეტებს ამზადებს. იგი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ

გამოცხადებულ კონკურსში „არქიტექტორის ფიქრი,“ გამარჯვებულთა შორის მოხვდა.

სპეციალური ჯილდო მიხეილს „აირზენას“ სამგზავრო ფრენების დირექტორმა თამაზ გაიაშვილმა გადასცა.

კახა ვასაძე:–„მიხეილ თავბერიძე ერთადერთია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზემო სოფლებიდან სამხატვრო სკოლაში რომ ახერხებს სიარულს. იგი უდავოდ ნიჭიერი ახალგაზრდაა: ხატავს, ძერწავს, ერთ-ერთი საუკეთესო მოქანდაკეა სამხატვრო სკოლის მოსწავლეებს შორის. წარმატებები აქვს დეკორატიულ ხელოვნებაში. მონაწილეობს ადგილობრივ გამოფენებში. მისი ერთ-ერთი გატაცება მოდელების შექმნაა. აკეთებს ეკლესიების მოდელებს. ახლა კი წარმატებას მიაღწია თბილისის საავიაციო უნივერსიტეტის კონკურსში.

იცით, რომ ასევე წარმატებას მიაღწია ჩვენმა მოსწავლემ თამთა ანდღულაძემ კონკურსში „გადავარჩინოთ ბუნება“. მან II ადგილი აიღო.“

სამხატვრო სკოლის კედლებს ამშვენებს მოსწავლეთა ნამუშევრები თემაზე: „მე მიყვარს ჩემი ოზურგეთი.“ ეს ნამუშევრები მათ ახლახან ოზურგეთში ჩატარებულ „ალეგრობას“ მიუძღვნეს. ძალიან მოგვეწონა III კლასელი ელენე ინწკირველის ნამუშევრები.

ნიჭიერ ბავშვებს რა გამოლევს ოზურგეთის სამხატვრო სკოლაში. ამ სკოლის V კლასელი ელისაბედ გეგუჩაძე თბილისში „ვოქ შოფში“ მონაწილეობის მისაღებად ემზადება. „ვოქ შოფს“ „არტ ისტერიუმი“ ამზადებს, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ილიკო და ლუკა ზაუტაშვილთან, არჩილ თავბერიძესთან ერთად ლიხაურელი ნიკო ცეცხლაძეა. ელისაბედ გეგუჩაძის ფოტონამუშევრებს კატალოგში მოხვედრა ელოდება.

სამხატვრო სკოლა ლიდიცეს გამოფენამდე სხვა საინტერესო ღონისძიებებსაც გეგმავს.

სალომე კვირიკაშვილი



ნინო გორდელაძე



გიორგი ცხომელიძე

„გიორგი სალუქვაძე ანსამბლის თითოეული წევრის ჭირის და ლხინის გამზიარებელი იყო“

ახლახან ქ. ოზურგეთში ჩატარდა „ალეგრობა,“რომელსაც წინ უსწრებდა გიორგი სალუქვაძის სახელობის II საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალზე არაერთი მხატვრული კოლექტივი დააჯილდოეს სხვადასხვა პრიზით. „ალეგრობის“ დასკვნით კონცერტში ფოლკლორული ანსამბლი „იადონიც“ მონაწილეობდა.

ანსამბლის წევრი ძიმა ბაქანიძე რედაქციაში მოვიდა და გვითხრა:–გიორგი სალუქვაძის სახელობის ფესტივალი შარშანაც ჩატარდა, მაგრამ ჩვენ არც კი შეგვატყობინეს. წელს მასშტაბურად ჩატარდა, რაც მისასალმებელია. დაჯილდოეს ყველა მონაწილე ანსამბლი ზუგდიდიდან, ჩოხატაურიდან, ლანჩხუთიდან, ოზურგეთიდან, „იადონის“ გარდა. იცით, ეს ანსამბლი გიორგი სალუქვაძის შექმნილია, დღესაც მისი სახელი ცოცხლობს „იადონის“ თითოეული წევრის გულში, ჩვენი ჯილდო სწორედ ეს არის, რომ გიორგი სალუქვაძესთან ათეული წლები ვმუშაობდით და ჩვენ მის შვილებად გვთვლიდა. იგი იყო ანსამბლის თითოეული წევრის ჭირის და ლხინის გამზიარებელი. ეს იყო და არის ჩვენი ჯილდო.

გორბაჩოვის პერიოდში მშრალი კანონი გამოვიდა და ალკოჰოლის მიღება აკრძალული იყო. ბატონ გიორგის ყანაში ვეხმარებოდით. პატარა ფართობი იყო. „ნადურის,“ გარეშე გიორგი ყანაში როგორ შევიდოდა.

–ღვინის გარეშე ეს ყანა არაფერს მოიწევსო, ბრძანა და ჩამოვსხედით. შვილი–საყვალა მაშინ ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე იყო და შუადღეზე სახლში შემოირბინა. სახლის გვერდით დიდი ცაცხვის ჩრდილში ვისხედით. შევატყვეთ, საყვალას „მშრალი კანონი“ გაახსენდა, მაგრამ გიორგის ღიმილიან სახეს რომ შეხედა, საყვედური ვერ შეჰკადრა...

ხანძრისგან სახლი რომ დაგვწვა, ბატონმა გიორგიმ მეცადინეობები შეწყვიტა, მთელი ანსამბლი ჩამოიყვანა ნაღობილევში და სანამ ნამწვავებისაგან არ გათავისუფლდა ეზო-კარმიდამო და ელემენტარული საცხოვრებელი გარემო არ შეგვექმნა, გვერდიდან არ მოგვშორებიან. თუ ეს ფესტივალი მისი სახელობის არის, გიორგის შექმნილი ანსამბლი არ უნდა ეხსენებინათ? რატომ გამორჩათ ორგანიზატორებს?

„იადონის“ შესახებ აზრი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსმა **კობა ბანძელაძემ** გამოთქვა:– „იადონი“ კულტურის ცენტრთან არსებული წარმატებული ანსამბლია. წელს „იადონის“ წევრები დიმიტრი ხომერიკი და მოსე სვანიძე „იმედის გმირებში“ გადაიღეს. ორიოდე კვირის წინ გონიოში, ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე „არტ გენმა“ გამართა ღონისძიება, სადაც „არტ გენის“ დამაარსებელმა ზუმბამ „იადონს“ გადასცა ხმის ჩამწერი აპარატურა. ფაქტიურად, ოზურგეთში გვექნება ხმის ჩამწერი მინი სტუდია, რომლითაც „იადონთან“ ერთად ყველა ანსამბლი ისარგებლებს. ჩაიწერება უნიკალური სიმღერები, რომლებიც დაკარგვას გადარჩება. „იადონი“ არის „არტგენის“ უცვლელი და ყველაზე საპატიო წევრი. შარშან „იადონი“ დასახელდა „არტგენის“ ყველაზე საპატიო წევრად საქართველოს მასშტაბით.

10 დღის წინ ფოლკლორულ ანსამბლებს „ვახტანგურს,“ „იადონს,“ „ელესას“ და „შვიდკაცას,“ „ლიხაურს“ ოზურგეთში გიორგი უშიკიშვილმა მოუსმინა. მან ხუთივე ანსამბლს მადალი შეფასება მისცა. „აიდონმა“ ამ დღეს „ასკანური ნადური“ შეასრულა, რამაც განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

გიორგი უშიკიშვილის და სხვა ასეთი სპეციალისტების შეფასება ჩემთვის ფასეულია და მეამაყება რომ, კულტურის ცენტრს და ოზურგეთს ჰყავს ისეთი სახელოვანი ანსამბლი, როგორც „იადონია.“

გიორგი სალუქვაძის საერთაშორისო ფესტივალის ჟიურის წევრმა, გიორგის ვაჟმა **საყვალა სალუქვაძემ** ტექნიკური შეცდომა უწოდა „იადონის“ გამორჩენას და აღნიშნა, რომ ფესტივალი დაძაბულ რეჟიმში მიმდინარეობდა და ტექნიკური შეცდომა მოხდა, თბილისში დაგვიანებით დამზადდა სპეციალური მედალი, რომელიც ამ დღეებში გადაეცემა ანსამბლ „იადონს.“

სტუმარი პოლონეთიდან

პოლონელი სტუმარი, სტუდენტური რადიო გადაცემის კორესპონდენტი-მაგდალენა დაბაკი კულტურის ცენტრს ეწვია. ქალბატონი მაგდალენა სხვადასხვა ქვეყნის სასიმღერო ფოლკლორს გაეცნო და შემდეგ პოლონელ რადიო მსმენელამდე მიიტანა. ამჟამად მან მოიარა საქართველოს სხვადასხვა კუთხე: აჭარა-ხულო, გორი, სამცხე-ჯავახეთი, ახალციხე, ახალქალაქი. გურიიდან კახეთში -ყვარელში გაემგზავრა.

გურიაში ის დაინტერესდა სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორულ ანსამბლ „იადონით" და ტრიო „ადილათი". მან ჩაწერა „იადონის" მიერ შესრულებული „ხასანბეგურა" „აგუნა ფუნდრუკით" „ბურთის გამარჯვება" „ნადური შემოქმედური". ხოლო ტრიო „ადილას" შესრულებით „ჩვენ მშვიდობა" „მრავალჟამიერი" „მადლობელი" „ადილა" და „შვიდკაცა".

„იადონის" ხელმძღვანელის ბიძინა მჟავიასაგან აიღო ვრცელი ინტერვიუ, სადაც ყურადღება იქნა გამახვილებული ანსამბლის ისტორიაზე მის პირველ დამაარსებელ გიორგი სალუქვაძეზე და მის ღვაწლზე.

დიდი დაინტერესება გამოიწვია შესრულებული და ჩაწერილი სიმღერების შინაარსობრივმა დატვირთვამ.

კორესპონდენტი მოიხიბლა გურული სასიმღერო ფოლკლორით, და აღნიშნა, რომ ასეთი ღირშესანიშნავი ფოლკლორი პოლონელ ხალხსაც აღაფრთოვანებდა და ანსამბლის წევრები პოლონეთში მიიპატიჟა.

წმ. პანტელეიმონის სახელობის საზოგადოება

სოფ. ნატანებში, წმ. პანტელეიმონის ეკლესიასთან (მღვდელი მამა მიქაელი (ტულუში), შეიქმნა ამავე სახელწოდების საზოგადოება (თავმჯდომარე გიგა მახარაძე), რომელშიც საზოგადოების აქტიური წევრები გაერთიანდნენ.

საზოგადოების ძირითადი თანხა საწევრო შესატანია, რომლის ოდენობა 20 თეთრიდან იწყება. დებულებით თანხის 40 პროცენტი უნდა მოხმარდეს ეკლესიას, 50 პროცენტი შეჭირვებულებს, 10–საკანცელარიო ხარჯებს.

საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებლის კახა თოიძის თქმით, მათ ქველმოქმედი ადამიანების თანადგომის იმედი აქვთ. ისინი შეჭირვებულ ადამიანებს დაეხმარებიან საკვებით, მედიკამენტებით.

საზოგადოებას ანგარიში გახსნილი აქვს პროკრედიტ ბანკის ოზურგეთის სერვის ცენტრში. ანგ.№ **GE95PGO-463600100006560**; ბანკის კოდი 220 101 922;

ვაქირავება

50 კვადრატულ მეტრ საოფისე ფართს (3 ოთახი, დამხმარე სათავსოთი) ქალაქის ცენტრში, ევრორემონტით, შენობის I სართულზე. ამავე შენობაში ქირავდება 200 კვ. მეტრი ფართი (შესაძლებელია ნაწილობრივ გაქირავებაც) II სართულზე.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, ერისთავის ქ. 326 (სტომატოლოგიური კლინიკა „დენტ-გურია“). დაგვიკავშირდით; (599) 555 684; 27 45 51.

„მშვიდობისა“ თუ „შვიდობის“ სადღეგრძელო

ნინო ნიკოლაიშვილი

— „ამ სუფრას რომ ნოდარ დუმბაძისნაირი პიროვნება ესწრებოდეს, აუცილებლად დაწერდა რაიმე საინტერესოს, თანაც მისეული ლამაზი იუმორითო — აღნიშნეს. ეს სუფრა ერთ-ერთ კოლორიტულ, სილამაზითა და სტუმართ-მოყვარეობით განთქმულ სოფ. მთისპირში გაიმართა, სადაც ღვინოც და მჭადიც სხვანაირი გემოსი და სურნელისაა, ამბობენ. „მასპინძელსა მხიარულსა“ თუ მარნის კარი არ უჭრიალებს, სტუმრისთვის ღვინოც ყოველთვის მოეძებნება და გულის კარიც მუდამ ღია აქვს სასტუმროდ.

ამ თითქოს ჩვეულებრივი სუფრის მასპინძელი თენგო შარაშიძის ოჯახი გახლდათ. სტუმრები - თბილისიდან, ბათუმიდან, ოზურგეთიდან, იყვნენ ოჯახის ახლობლები, მეზობლები, მაგრამ მაინც რამდენიმეს დავასახელებ. ცნობილი მეცნიერი, პროფესორი იური სიხარულიძე; გერმანელი სტუმარი ჰანს მეიერი; ერთ-ერთი ტიპიური მთისპირელი, ყველასთვის საყვარელი მიხეილ (მიშა) ინწკირველი. ბატონი ჰანსი მიშას სტუმარი გახლდათ და მიშას გერმანელიო, ამბობდნენ ხუმრობით.

მიშა ხალხური სიმღერების კარგ შემსრულებლად ითვლება. მისი, მასპინძლის, გიორგისა და და ბატონი იურის მიერ შესრულებულმა ხალხურმა სიმღერებმა სუფრის ხვავსა და იუმორს ქართული სიმღერის მადლიც დაუმატა.

სუფრა მადლიანი და სიტყვაც მადლიანი. რამდენი რამ, ჩვენთვის ძვირფასი და მოსაფერებელია ჩაძირული ქართულ სასიტყვეთში. რამდენი რამ შემონახულა ქართულ სადღეგრძელოებში.

ადრე გურულების მშვიდობას, ახლა მშვიდობას გაუმარჯოსო — უკვე მთელს საქართველოში ისმევა ეს სადღეგრძელო.

მშვიდობამ ფასი დაიდო?

„მშვიდობა და შვიდი ინჯრაო“ — არის გამოთქმა ასეთი.

„ჩვენ მშვიდობა გამარჯვება“- ხომ ცნობილი ხალხური სიმღერაა.

სწორედ მშვიდობის თუ შვიდობის სადღეგრძელოს შეესიტყვა ბატონი იური.

—„ქართველი დღეს გამარჯობა-გაგიმარჯოს თქმით იწყებდა. სწორედ გამარჯვება იყო მისთვის მთავარი. „დილა (შუადღე, საღამო) მშვიდობისა“ უცხოური გავლენაა. დროთა განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. დაუკვირდით, სიმღერას, „ჩვენ მშვიდობა-გამარჯვება.“ თუ ჩავყვებით, ლოგიკურად სად გაგონილა მშვიდობის შემდეგ გამარჯვება. მშვიდობის კი არა, შვიდობის, ანუ საქართველოს მთლიანობის, შვიდივე სამეფო—სამთავროს გაერთიანების სადღეგრძელოს სვამდა ოდითგან ქართველი კაცი.“

სიწყნარემ დაისადგურა, ყველა თავის საფიქრალს ჩაჰყვა. წინაპართა აჩრდილები წამოიშალნენ უნებურად.

ილიას ლელთ-ღუნიას სადარდებელი გამახსენდა, —„რა თავში ვიხლი ცარიალ მშვიდაბას“ო! ნიკო ლორთქიფანიძემ ღელვით დაუკრა კვერი,— „იყიდება საქართველო!“. აქეთ მუხრანი შეესიტყვა თავისი მჭექარე ხმით —„... ისევ დგას დღის წესრიგში, ბედი ქართლისა და ბედი ხვალის“.

გონება შვიდობის საზღვრებს გადასწვდა. ტკივილმა კვლავ ასწეწა ფიქრები. ისევ ილიას თანამდევმა სულმა ექოსავით დაუარა ქვეყანას ოთხივ კუთხით —

—„რა გითხრათ, რით გაგახაროთ!“

რეალობამ შეწყვიტა ფიქრები. სუფრას კრიმანჭული ისე ჩაჰხვეოდა, როგორც ნისლი მთებს და ხევებს. მერე უჩუმრად აიკეცავს თეთრჩოხა კალთებს და ზეციერს შეჰღაღადებს — „... მოჰმადლე ქართველს ქართლის ნდომა და სიხარული... “

განახლებულ საჭადრაკო კლუბში რაიონული ჩემპიონატი ჩატარდა

ნუგზარ ოთარიშვილი

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში, რომელიც რამდენიმე წელია ნახევრად ავარიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა. მთლიანად შეიცვალა იატაკი, გამოიცვალა ფანჯრები და ვიტრაჟები, გარემონტდა სამუშაო ოთახები, გალამაზდა ფასადი, მოწესრიგდა სველი წერტილების სისტემა და ელექტროგაყვანილობა. რაც მთავარია, შეძენილი იქნა საჭადრაკო ინვენტარი და ავეჯი.

აღნიშნული სამუშაოები შესრულებული

იქნა პროექტის „მუნიციპალური განვითარება გურიაში“ ფარგლებში. რომელიც დაფინანსებული იქნა ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ და ახორციელებდა ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია და ევროსაბჭო.

გურიის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის გოჩა შანიძის თქმით, რეაბილიტირებული შენობა ძირითადად საჭადრაკო სკოლისთვისაა განკუთვნილი, სადაც უნდა შეიქმნას ჭადრაკის სწავლება-დაოსტატების ქსელი. რომლითაც ქ. ოზურგეთთან ერთად მოცული იქნება მუნიციპალიტეტში შემავალი სასოფლო დასახლებები. იმის გათვალისწინებით, რომ ჭადრაკი სახელმწიფოებრივი ზრუნვის განსაკუთრებული სპორტის სახეობად იქცა, იგი მალე საჯარო სკოლებში სწავლებას დაექვემდებარება. საჭირო ხდება სპეციალური კადრების მომზადებაც (მწვრთნელები, მსაჯები და სხვ.)

რეაბილიტირებული კლუბის გახსნა ოზურგეთის 2011 წლის ჩემპიონატით დაიწყო და იგი „ოზურგეთობის“ სახალხო დღესასწაულს დამთხვიეს ორგანიზატორებმა.

გურიის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ ანდღულაძემ კლუბში მრავლად შეკრებილ ჭადრაკის მოყვარულებს მოულოცა კლუბის გახსნა.

ოზურგეთის 2011 წლის ჩემპიონატის პირველ ეტაპზე 22 მონაწილე წილისყრით ორ ჯგუფში განაწილდა.

I ჯგუფში ფავორიტად გივი სიამაშვილი მოგვევლინა და 7 ქულით I ადგილი დაიკავა. უდავოდ კარგი შედეგი აჩვენა ომარ ბიჭიკაშვილმა, მან 6,5 ქულით II ადგილი დაიკავა. 11 წლის მიშიკო ქურიძემ უფროსი ასაკის მოჭადრაკეებს შორის კარგი შედეგი აჩვენა და 6 ქულით III ადგილი დაიკავა. ფინალურ ეტაპზე ამ ჯგუფიდან ბეჟან ცეცხლაძეც გავიდა, რომელმაც ასევე 6 ქულა მოაგროვა.

II ჯგუფში ყველაზე კარგი შედეგი აკაკი გოგუამ აჩვენა, მან 6,5 ქულა მოაგროვა გამოცდილმა ანატოლი ტიაშენკომ 6 ქულით II ადგილი დაიკავა. 5,5-5,5 ქულით III-IV ადგილებზე გავიდნენ ელგუჯა ურუშაძე და ირაკლი მახარაძე.

ძალიან დაძაბული გამოდგა მეოთხედფინალური შეხვედრები. ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა ელგუჯა ურუშაძემ ჩემპიონატის დებულებით გათვალისწინებული ორთავე შეხვედრა მოუგო ომარ ბიჭიკაშვილს და შემდეგ ეტაპზე გავიდა.

გივი სიამაშვილმა და ირაკლი მახარაძემ I შეხვედრა ყაიმით დასრულეს. მეორე შეხვედრა დაძაბულად წარიმართა. ირაკლი მახარაძეს ჰქონდა მცირე უპირატესობა, მაგრამ შეცდომა დაუშვა და ნახევარფინალში გივი სიამაშვილი გავიდა.

11 წლის მიშიკო ქურიძემ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ანატოლი ტიაშენკოს, მაგრამ გამოცდილმა მოჭადრაკემ შეძლო ორთავე პარტიის მოგება.

აკაკი გოგუამ ორთავე პარტია მოუგო ბეჟან ცეცხლაძეს. აკაკი გოგუას ერთ-ერთ ფავორიტად თვლიდნენ, მაგრამ ნახევარფინალში ორთავე პარტია დათმო გამოცდილ ელგუჯა ურუშაძესთან.

დრამატულად წარიმართა მეორე ნახევარფინალური ჯგუფის შეხვედრები. ანატოლი ტიაშენკომ და გივი სიამაშვილმა ნახევარფინალში თითო პარტია მოიგეს. ჩემპიონატის დებულებით, ორი 25-წუთიანი დამატებითი პარტია დაინიშნა.

პირველი პარტია ოსტატობის კანდიდატმა ტიაშენკომ მოიგო, მეორე კი—სიამაშვილმა. დაინიშნა ორი ხუთწუთიანი ბლიც-შეხვედრა. კვლავ ყაიმი. დებულებით იმ მოჭადრაკეს გაეხსნებოდა გზა ფინალისაკენ, ვინც პირველ პირველი გაიმარჯვებდა. გივი სიამაშვილი ფინალისტი გახდა.

III ადგილისათვის ბრძოლაში ორთავე პარტია მოიგო აკაკი გოგუამ და გურიის ჩემპიონატის საგზურიც მოიპოვა.

ნახევარფინალის მარათონის შემდეგ ფინალშიც შესაშური ენერგიით ითამაშა გივი სიამაშვილმა. პირველ პარტიაში თანაბარი მდგომარეობა იყო. ეს იყო, მხოლოდ რომ ელგუჯა ურუშაძემ მეტი დრო მოანდომა ფიქრს და ფინიშზე დროის დეფიციტი ჰქონდა. გივი სიამაშვილმა კარგად გამოიყენა მცირე უპირატესობა და პირველი პარტია მოიგო. მეორე შეხვედრა ყაიმით დასრულდა და გივი სიამაშვილი ოზურგეთის 2011 წლის ჩემპიონი გახდა. ამ ტიტულს იგი პირველად დაეუფლა.

საზეიმოდ მოეწყო გამარჯვებულთა დაჯილდოება. მათ გამარჯვება მიულოცეს კლუბის პრეზიდენტმა, პარლამენტარმა გოჩა შანიძემ და აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ ანდღულაძემ.

ჩემპიონატის სამთავე პრიზიორმა (გივი სიამაშვილი, ელგუჯა ურუშაძე, აკაკი გოგუა) ავტომატურად მიიღო გურიის 2011 წლის ჩემპიონატის საგზური, რომელიც წელს პირველად გაიმართება ჩოხატაურში (მანამდე იგი 10-ჯერ ოზურგეთში ჩატარდა, 5-ჯერ ლანჩხუთში).

მუნიციპალიტეტის 2011 წლის ჩემპიონატი კარგად იყო ორგანიზებული. იგი ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრის

გახსენება

თორნიკე! ძვირფასო, გვენატრები, გვიყვარხარ!..

შენი სიტყვები საშინაო დავალების რვეულში რომ დაგვიტოვე, მინდა შევახსენო შენს მეგობრებს, ახლობლებს.

— „ღვთისმშობელო, დაე, ყველაფერი იყოს ისე, როგორც ეს შენ გსურს და არა ისე, როგორც მე მსურს. რადგან მხოლოდ შენთვისაა ცნობილი, რა არის ჭეშმარიტად კარგი, და რა—ცუდი. შენ ბევრად მეტი სიკეთე გსურს ჩემთვის, ვიდრე მე — ჩემი თავისთვის. მომეცი ძალა, რათა ვიცხოვრო ისე მართლად და წმინდად, რომ შენი სახელი მარად იყოს ჩემში და არ შეიბღალოს ჩემი ცუდი საქციელით“.

* * *

ღმერთს ებარებოდე ჩვენო პატარავ!

შენი კლასი,

დალი მასწავლებელი.

„ბ“ ლიგა - არწივების მეოთხე გამარჯვება,

მიზანი — ჩემპიონობა, მინიმუმ - სამეული

„ბ“ ლიგაში ოზურგეთის „არწივებმა“ სენაკის გუნდს უმასპინძლეს.

მიუხედავად იმისა, რომ გუნდის ოთხი მოთამაშე ამჟამად ტრავმირებულია, გუნდმა ერთიანობაში კარგი თამაში აჩვენა და 35:3 დაამარცხეს სტუმრები. (კლუბის პრეზიდენტი ზვიად უნგიაძე, მწვრთნელი მამუკა ჯანაშია).

მუდმივი მხარდაჭერისა და თანადგომისათვის კლუბის ხელმძღვანელები მადლობას უხდიან შ.პ.ს. „გულისტანის“ ხელმძღვანელობას, კერძოდ მარინა ჩხაიძეს; „ოზურგეთლუდის“ დირექტორს, ყოფილ მორაგბეს ამირან როყვას; ბავშვთა სავადმყოფოს დირექტორს დავით მდინარაძეს.

როსტომ მელაშვილის საერთაშორისო ტურნირგე

21-23 ოქტომბერს ქობულეთში ჩატარდა როსტომ მელაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, 1995-1997 წ-ში დაბადებულთა შორის. მასში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის სომხეთის, რუსეთის ნაკრები და საქართველოს გუნდები.

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა ოზურგეთის სასპორტო სკოლის სპორტსმენები. 42 კგ. წონით კატეგორიაში III ადგილი დაიკავა ზურაბ ირემაძემ (მწვრთ. დავით მაჭარაშვილი).

გულსუნდა მახარაძე თანაუგრძნობს ჯემალ ბარამიძის ოჯახს **გალინა სხირტლაძე-ბარამიძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზურნველყოფა გია გოგოლაძე